ახალი წიგნები

ნოე ჟორდანიას თხზულებათა სამტომეული

საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკიდ მე-100 წლისთავს მიუძღვნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღიარებული ლიდერის და მთავრობის თავმჯდომარის თხზულებათა სამტომეულის გამოცემა. სამტომეული გამოიცა სერიით „საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები“ (ამ სერიაში ჟორდანიას თხზულებები წარმოდგენილია XIII, XIV და XV ტომების სახით).

ნოე ჟორდანიას სამტომეულის პირველი ტომი მოიცავს პერიოდს 1918 წლის მაისიდან 1919 წლის ბოლომდე, ხოლო მეორე ტომი 1920 წლის დასაწყისიდან 1921 წლის 18 მარტამდე, ანუ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ემიგრაციაში წასვლამდე. მესამე ტომში შესულია ნოე ჟორდანიას ემიგრაციის პერიოდის ნაწერები 1938 წლამდე. მთლიანობაში, სამივე ტომი მოიცავს 1377 გვერდს (შესაბამისად 393 + 259 + 725 გვერდები). თითოეულ ტომს თან ერთვის პირთა, გეოგრაფიული და საგნობრივი საძიებლები. ეს მკითხველს მნიშვნელოვნად გაუადვილებს წარმოდგენილ დიდ მასალაში ორიენტირებას.

ნოე ჟორდანიას თხზულებათა სამტომეულის მთავარი რედაქტორია სტივენ ჯონსი, ხოლო რედაქტორი ემზარ ჯგერენაია. აღსანიშნავია თავად სერია „საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები“, რომელსაც ანხორციელებს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. სერიის იდეის ავტორია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი ემზარ ჯგერენაია. ამ სერიით უკვე გამოცემულია 15 ტომი. მათ შორის ზვიად გამსახურდიას 5-ტომეული და ედუარდ შევარდნაძის 6-ტომეული.

დავიბრუნდეთ ნოე ჟორდანიას თხზულებათა სამტომეულს. ამ მოღვაწის თხზულებათა კრებული, მით უმეტეს ასეთი მასშტაბური, არც არც საქართველოსა და არც უცხოეთში დიდი ხანია აღარ გამოუციათ. სამტომეული ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს ისტორიკოსებს, პოლიტოლოგებს და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდით დაინტერესებულ ნებისმიერ მკითხველს.

სამტომეულში წარმოდგენილი ნოე ჟორდანიას თხზულებები გარკვეულ სურვილების გამოთქმისკენაც გვიბიძგებს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში ნოე ჟორდანიას პოლიტიკური პოზიციის შესწავლა მოითხოვს მისი გამოსვლებისა და პუბლიკაციების გაანალიზებას, სულ ცოტა, 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ. აღსანიშნავია ისიც, რომ 1917 წლის ნოემბრიდან ნოე ჟორდანია თავმჯდომარეობდა საქართველოს ეროვნულ საბჭოს, რომელიც 1918 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტად გარდაიქმნა.

ნოე ჟორდანიას 1917 წლის თხზულებებზე საუბრისას თუ გავდივართ სერიის ფარგლებიდან, გამოცემის 1938 წლით დამთავრება არღვევს სერიის პრინციპს. ნოე ჟორდანია გარდაცვალებამდე (1953 წლის იანვრამდე) იყო საქართველოს დევნილი მთავრობის თავმჯდომარე. მართალია სტივენ ჯონსი აღნიშნავს, რომ 1938 წლის შემდეგ ნოე ჟორდანიას „თითქმის აღარაფერი დაუწერია“ (ტომი XIII, გვ.15), მაგრამ ლოგიკურად საჭიროა კიდევ ერთი ტომი, რომელიც ნოე ჟორდანიას 1938-1952 წლების პერიოდის ნაწერებს მოიცავს.

ნოე ჟორდანიას თხზულებათა სამტომეულის გამოცემა, იმედია, კარგი სტიმული იქნება ამ პიროვნების თხზულებათა სრული კრებულის გამოსაცემად მუშაობის დასაწყებად. ასეთი გამოცემის გარეშე ფაქტობრივად შეუძლებელია ნოე ჟორდანია სრულყოფილი პოლიტიკური პორტრეტის წარმოჩენა.

მალხაზ მაცაბერიძე